PLITONIT

Plitonit Deutsche Qualität

პროფესიონალად ყოფნა ადვილია

PLITOSIL Premium – მაღალელასტიკური სანიტარული მჟავური გამყარების ჰერმეტიკი ნესტიანი შენობა-ნაგებობებისთვის

ერთკომპონენტიანი 100% სილიკონის მაღალელასტიკური სანიტარული მჟავური გამყარების ჰერმეტიკი ფუნგიციდური დანამატებით საპირაპირო შეერთებებისთვის მაღალი ტენიანობის მქონე შენობა-ნაგებობებში, როგორებიცაა აბაზანები, საშხაპეები, სველი წერტილები, სამრეცხაოები და ა.შ. კუთხური და კომპენსაციური ნაკერების ჰერმეტიზაციისთვის კონსტრუქციებში, რომლებიც ექვემდებარება მექანიკურ და/ან თერმულ დეფორმაციებს. ქმნის მყარ და, ამავდროულად, მაღალელასტიკურ ნაკერს, რომელიც უძლებს 230%-მდე დეფორმაციას და ხელს უშლის ტენის შეღწევას. შეიძლება, გამოყენებული იქნას მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ზედაპირებზე (იატაკის გათბობა). დასაშვებია გამოყენება ფილებს შორის ნაკერების ამოსავსებად ზედაპირებზე, რომლებიც არ განიცდის ცვეთას. გამოიყენება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობების მშენებლობისა და რემონტისას, მათ შორის სასწავლო-აღმზრდელობით, საბავშვო, სკოლამდელ და სამედიცინო დაწესებულებებში (მათ შორის სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სანატორიულ-საკურორტოში).

დაფასოება — კარტრიჯი 310 მლ

- მაღალელასტიკური – დეფორმაცია 230%-მდე დაუშლელად
- მდგრადი ობისა და სოკოს წარმოქმნის მიმართ
- მჭიდრო ნაკერი - იდეალური შედეგი, მაღალი მდგრადობა დაბინძურების მიმართ
- მომატებული ადჰეზია ზედაპირთან

მასალის ხარჯი

310 მლ 5 მმ დიამეტრის 12 გრძივ მეტრ ზოლზე

სამუშაოების ჩატარების პირობები

სამუშაოების ჩატარებისას და შემდგომი 3 დღე-ღამის განმავლობაში ჰაერის, ზედაპირისა და ფილების ტემპერატურა უნდა იყოს +5°C-დან +30°C-მდე ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ მასალა გაიყინა, მისი გამოყენება დასაშვებია არა უადრეს, ვიდრე +10°C-დან +25°C-მდე ოთახის ტემპერატურაზე 24-საათიანი დაყოვნების შემდეგ. უფრო ადრე გალღობის მიზნით გათბობა დაუშვებელია.

ზედაპირის მომზადება

ჰერმეტიკისთვის განკუთვნილი ზედაპირი უნდა გაიწმინდოს ჭუჭყისა და მტვრისგან, მოცილდეს აქერცვლადი ფრაგმენტები, გაუცხიმოვნდეს და გაშრეს.

მუშაობის წესი

მოაჭერით კარტრიჯის წვერი და დახრახნეთ საცმი. მოჭერით საცმის წვერი 45°-იანი კუთხით სავარაუდო ნაკერის ზომაზე. ჩადეთ კარტრიჯი დოზატორში და თანაბრად შეავსეთ ნაკერი ჰერმეტიკით. მოაცილეთ ზედმეტი სპეციალური ფითხის საშუალებით. წასმიდან არაუგვიანეს 25 წუთის შემდეგ ოდნავ დაასველეთ ნაკერი სუსტი საპნიანი ხსნარით და მოასწორეთ ის. პოლიმერიზაცია მიმდინარეობს ატმოსფერული ტენიანობის ზემოქმედებით, რომლის დონე უნდა იყოს არანაკლებ 50%. ჰერმეტიკის პოლიმერიზებული ნარჩენები შორდება ზედაპირიდან მექანიკურად.

ყურადღება

დამონტაჟებული ელასტიკური შეერთების ხანგრძლივობა დამოკიდებულია სამუშაოების სწორად შესრულებაზე. პოლიმერიზებული ჰერმეტიკი ინარჩუნებს ელასტიკურობას ნაკერის ტორსებთან კონტაქტისას, ზედაპირთან კონტაქტის გარეშე! წასასმელი ჰერმეტიკის ზედაპირთან შეხების თავიდან ასაცილებლად ნაკერში წინასწარ უნდა ჩაიდოს სტანდარტული ქაფიანი პოლიეთილენის ზონარი, რაც გამოყოფს ზედაპირს ჰერმეტიკის შრისგან. სილიკონის ჰერმეტიკს არ აქვს ადჰეზია ზონარის მასალასთან, რაც უზრუნველყოფს ადჰეზიური კონტაქტის საჭირო 2 მხარის არსებობას.

ნაკერის 10 მმ-მდე სიგანის დროს მისი სიღრმეც იგივე უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუ ნაკერის სიგანე 20 მმ-მდეა, მისი სიღრმე უნდა იყოს არანაკლებ 10 მმ-ისა. 20 მმ-ზე მეტი ნაკერის სიგანის შემთხვევაში, მისი სიღრმე უნდა იყოს სიგანის ½.

ბუნებრივ ქვასთან გამოყენებამდე საჭიროა საცდელ ადგილზე მასალების თავსებადობის შემოწმება. არ დაუშვათ ჰერმეტიკის კონტაქტი ბეტონის ყველა სახეობასთან, ცემენტის ხსნარებთან, თითბერთან, სპილენძთან, თუთიასთან, ტყვიასთან და ბიტუმის შემცველ მასალებთან.

უსაფრთხოების ზომები

ფრთხილად

-მავნებელია გადაყლაპვისას

-მუშაობისას გამოიყენეთ ხელთათმანები, სპეცტანსაცმელი, თვალის დამცავი საშუალებები.

-სამუშაოს შემდეგ საგულდაგულოდ დაიბანეთ ხელები და სახე.

-პროდუქციის გამოყენებისას არ მოწიოთ, არ დალიოთ, არ მიიღოთ საკვები

-გამოიყენეთ მხოლოდ ღია ცის ქვეშ ან კარგად ვენტილირებად სივრცეში.

-კანზე მოხვედრის შემთხვევაში ჩამოიბანეთ წყლის დიდი რაოდენობით, თუ გაღიზიანება არ გაივლის, მიმართეთ სამედიცინო დახმარებისთვის.

-თვალში მოხვედრის შემთხვევაში: ფრთხილად ამოიბანეთ წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ იყენებთ მათ და თუ ეს ადვილია, და გააგრძელეთ თვალების ამობანა. თუ თვალების გაღიზიანება არ გაივლის, მიმართეთ სამედიცინო დახმარებისთვის.

-შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

შემადგენლობა

თხევადი სილიკონის კაუჩუკი, ვულკანიზაციის აგენტი

ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობები

ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურულ სატრანსპორტო საშუალებებში, რომლებიც უზრუნველყოფს დაცვას მექანიკური დაზიანებისგან. შეინახეთ მწარმოებლის დახურულ შეფუთვაში, საწყობის შენობაში, პირობებში, რომლებიც გამორიცხავს ჰერმეტიკში უცხო ნივთიერებებისა და ატმოსფერული ნალექების მოხვედრას. ტრანსპორტირება და შენახვა უნდა მოხდეს +5°C-დან +25°C-მდე ტემპერატურაზე. პროდუქტის ტრანსპორტირება შესაძლებელია ჰაერის უარყოფით ტემპერატურაზე. დაშვებულია არაუმეტეს 5 ციკლის გაყინვა -35°C ტემპერატურაზე. შენახვის ვადა მწარმოებლის ტარაში – 15 თვე დამზადების დღიდან.

მწარმოებლის გარანტია

მწარმოებელი იძლევა გარანტიას, რომ ჰერმეტიკი შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტის Р 59523-2021-ის მოთხოვნებს, თუ მომხმარებელი დაიცავს ტრანსპორტირების, შენახვის პირობებსა და ამ ინსტრუქციის მითითებებს. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი მასალასთან მუშაობის ტექნოლოგიის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე მისი გამოყენებისთვის იმ მიზნებსა და პირობებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მიცემული ინსტრუქციით. წონა ნეტოდან გადახრა შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტ Р 8.579-2002-ს. პროდუქცია გამოყენება ნებადართულია სამოქალაქო მშენებლობის ყველა სახეობაში (ბუნებრივი რადიონუკლიდების ეფექტური ხვედრითი აქტივობა<370 ბკ/კგ, რადიაციული უსაფრთხოების ნორმების-99/2009 სანიტარული წესები და ნორმები 2.6.1.2523–09).

ტექნიკური მახასიათებლები

გამოყენების სფერო	შიდა და გარე სამუშაოებისთვის
ნაკერის რეკომენდებული სიგანე	5-30 მმ
გამოყენების ტემპერატურა	+5°C-დან +40°C-მდე
ექსპლუატაციის ტემპერატურა	-45°C-დან +150°C-მდე
ელასტიკურობა	230%
წყალთან კონტაქტი	წასმიდან 24 საათის შემდეგ

ლოგისტიკური ინფორმაცია

ინდივიდუალური შტრიხკოდები:

თეთრი	4607013047549
გამჭვირვალე	4607013047556
შავი	4607013047655
სპილოს ძვალი	4607013047662
რძისფერი	4607013047679
კრემისფერი	4607013047686
კარამელისფერი	4607013047693
რუხი	4607013047709
ტიტანისფერი	4607013047716
ღია რუხი	4607013047723
შოკოლადი	4607013047730
ანტრაციტი	4607013048287
ბეჟი	4607013048294
კაკაო	4607013048300
სელისფერი	4607013048317

ჯგუფური შტრიხკოდები:

თეთრი	24607013047543
გამჭვირვალე	24607013047550
შავი	24607013047659
სპილოს ძვალი	24607013047666
რძისფერი	24607013047673
კრემისფერი	24607013047680
კარამელისფერი	24607013047697
რუხი	24607013047703
ტიტანისფერი	24607013047710
ღია რუხი	24607013047727
შოკოლადი	24607013047734
ანტრაციტი	24607013048281
ბეჟი	24607013048298
კაკაო	24607013048304
სელისფერი	24607013048311

კარტრიჯების რაოდენობა კოლოფში – 12 ც.

კარტრიჯების რაოდენობა პალეტზე – 1776 ც.